სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

64536707599314

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N140076005**

რეგისტრაციის თარიღი

29.01.2014 წ

ნოტარიუსი: ანჟელა მანია

მისამართი: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია

ტელეფონი: 5 (93) 677685; +995 (32) 2479191 ელ.ფოსტა amania@notary.ge

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# საქართველო
# სანოტარო აქტი

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაცხრა იანვარს, მე, ანჟელა მანიას ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რესპუბლიკური საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორია, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების, ინტერნეტი-ს გამოყენებით პირდაპირ ონლაინ-რეჟიმში დამიკავშირდა ჩემთვის პირადად ცნობილი **კანადის მოქ. ვასილი დინკოვ,** რომელმაც განაცხადა, რომ სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება. მან ასევე განაცხადა რომ არ ფლობს ქართულ ენას და ფლობს რუსულს. ამიტომ მე ნოტარიუსმა ანჟელა მანიამ, რომელიც ვფლობ რუსულ ენას, მისი თხოვნით შევადგინე მინდობილობის ტექსტი ქართულ და რუსულ ენაზე, რომელიც შემდგომში წავუკითხე მას.

მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა, მან ონლაინ რეჟიმში წარმოადგინა თავისი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, *კანადის მოქალაქის* პასპორტი და მე, ნოტარიუსი, დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ვასილი დინკოვმა** *(დაბ. 02.10.1978 წ. პასპორტის №BA386747, გაც. 17.08.2010. „CALGARY", ქ. თბილისი, ცხვედაძის ქ. № 583)* მომმართა.

სანოტარო მოქმედების შესრულებას **დავით კაკაბაძის** ნების შესაბამისად ესწრებოდა მის მიერ შემოთავაზებული მოწმეები:

**ირაკლი გამყრელიძე** *(დაბ. 15.01.1981წ. თბილისში. პ/№ 01008015196 რეგისტ. მისამართზე: ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის ქ. № 60)*- როგორც დოკუმენტზე ხელმომწერი პირი და **ზაზა მუხიგულაშვილი** *(დაბ. 14.08.1966 წ. თბილისში. პ/№ 01019038817 რეგისტრ. მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი ჯიხაიშის ქ. №59)* – როგორც მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა, ანჟელა მანიამ, სანოტარო მოქმედების მონაწილეს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტის პროექტი შევადგინე მე, ნოტარიუსმა ანჟელა მანიამ და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით წავუკითხე და განვუმარტე მიმნდობ პირს მოწმის თანდასწრებით. ''საკუთრების მიმნდობმა'' დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და თანხმობის განცხადებისას იგი არ იმყოფება ფიზიკური, ფსიქიკური ან რაიმე სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობაზე ხელის მოწერის უფლებას ანიჭებს **ირაკლი გამყრელიძეს.**

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თოთხმეტი წლის ოცდაცხრა იანვარს მე, **ვასილი დინკოვი,** შემდგომში წოდებული როგორც "საკუთრების მიმნდობი'' წინამდებარე მინდობილობით **ირაკლი წერეთელს** *(დაბ. 16.12.1983წ. თბილისში, პ/№ 01008022656, რეგისტრ. მისამართზე: ქ. თბილისი, ტ. ტაბიძის I შეს. №7),* შემდგომში წოდებული როგორც "მინდობილი მესაკუთრე'' ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

წარმოადგინოს ჩემი, როგორც **შპს "ნუცუბიძე 2013"-ის (საიდენტიფიკაციო № 404972375)** პარტნიორის ინტერესები, ამისათვის „მინდობილი პირი'' უფლებამოსილია დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების კრებებზე ხმის და გადაწყვეტილების მიღების უფლებით, იმ დღის წესრიგზე რომლებიც ეხება უძრავი ქონების, უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდობი, II მ/რ, I კვარტალი, კორპ.7-ის მიმდებარედ, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.14.01.007.232 საჯარო რეესტრში რეგისტრაციას, შეიტანოს ცვლილებები აღნიშნული მიწის ნაკვეთზე მშენებარე საცხოვრებელი სახლის პროექტით გათვალისწინებული ფართების (საცხოვრებელი, საზაფხულო ფართების და ავტოსადგომების, საერთო სარგებლობის ფართების, კიბის უჯრედის) განწილებაში (განშლაში) და მოახდინოს მესაკუთრეებზე გადაცემა, აგრეთვე აღნიშნულ უძრავ ქონებაზე მოახდინოს ფართების გამიჯვნა, გაერთიანება, გაყიდვა, იპოთეკით დატვირთვა, ამასთან დაკავშირებით იყოს წარმომადგენელი სანოტარო ბიუროში და/ან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, მოაწეროს ხელი მომნდობის ნაცვლად კრების ოქმებს, გადაწყვეტილებებს, შეთანხმებებს, თანხმობებს, განცხადებებს, ხელშ კრულებებს და სხვა საჭირო დოკუმენტებს, შეასრულოს ყველა ის მოქმედება რაც კანონით არის ნებადართული და დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან. „მინდობილი პირი'' უფლებამოსილია შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რაც არ არის პირდაპირ მითითებული მინდობილობაში მაგრამ სავალდებულოა მინდობილობით დადგენილი დავალების შესასრულებლად.

**მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.**

**მინდობილობა გაცემულია უფლებამოსილების შემდგომი გადანდობის უფლების გარეშე.**

მინდობილობა შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ გარიგების სანოტარო წესით გაუქმება.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ქართულ და რუსულ ენებზე **სამ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის ანჟელა მანიას სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური თანახმად საქართველოს მთავრობის 29.12.2011წ. დადგენილებისა № 507 "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ'' ორმოცდაათი ლარი – მუხლი 32, დღგ 9.00 ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა – მუხლი 39.

'' მიმნდობის'' ნაცვლად მისივე თხოვნით.

ხელს აწერს ------------------------------------

მოწმე ------------------------------------

ნოტარიუსი ანჟელა მანია

## Нотариальный акт
## Грузия

***Двадцать девятого января две тысячи четырнадцатого года*** ко мне, Мания Анжеле, нотариусу в г. Тбилиси, в моё нотариальное бюро, расположенное по адресу: г. Тбилиси, прилегающая к Республиканской больнице территория, посредством прямой электронной коммуникации – с применением интернета в прямом - онлайн режиме обратился гражданин Канады **Диньков Василий**, который заявил, что желает составить доверенность заверить её нотариально. Он так же заявил, что не владеет грузинским языком и владеет русским языком, поэтому я, нотариус Мания Анжела владеющая грузинсим и русским язаком, по его просьбе составила доверенность на грузинском и русском языках, которое затем прочитала ему.

Я установила личность участника нотариального действия , он в онлайн режиме представил мне документ удостоверяющий личность, паспорт гражданина Канады и убедилась, что ко мне действительно обратился **Диньков Василий (02.10.1978 года рождения, паспорт # BA386747, выд. 17.08.2010. „CALGARY', прож. по адресу: г. Тбилиси, ул. Цхведадзе *№ 58б*)**

При нотариальном действии в согласии с желанием **Какабадзе Давида участвовали предложенные им свидетели: Гамкрелидзе Ираклий (15.01.1981года рождения в Тбилиси, личный № 01008015196, зарег. по адресу : Тбилиси ул. Т. Табидзе №60) как лицо подписывающееся на документе и Мухигулашвили Заза (14.08.1966 года рождения личный № 01019038817, зарег. по адресу: г. Тбилиси ул. Диди Джихаиши №59)** Я проверила дееспособность участников нотариального действия и подтверждаю, что у меня нет оснований сомневаться в их дееспособности. Я, нотариус разъяснила участникам нотариального действия содержание нот. действия и правовые последствия его исполнения.

Текст данной доверенности составила я, нотариус, которая затем прочитала доверителю в онлайн режиме. Он заявила, что доверенность полностью соответствует его воле и, что при выдаче доверенности он не находится под каким либо физическим, психологическим или другого вида давлением и что даёт право **Гамкрелидзе Ираклий** подписаться вместо него на доверенности.

## Доверенность

Двадцать девятого января две тысячи четырнадцатого года я, **Диньков василий**, , в дальнейшем называемый «доверителем» данной доверенностью наделяю **Церетели Ираклия ( 16.12.1983 года рождения в Тбилиси, личный № 01008022656 зарегистрированный по адресу: г. Тбилиси, ул Т. Табидзе 1 переулок №7)** в дальнейшем называемого «доверенный собственник», следующими полномочиями:

Представлять мои интересы как партнера ООО «Нуцубидзе 2013» (идент. код № 404972375), в связи с этим доверенное лицо уполномочивается посещать и принимать участие на собраниях Общества с правом голосования и принятия решения, с повесткой дня, касающейся регистрации в Публичном реестре недвижимого имущества, находящегося по адресу: Г. Тбилиси, Нуцубидзе, II м/р, I квартал, прилегающая к корп. № 7 территория, кадастровый код земли (недвижимого имущества) № 01.14.01.007.232 , вносить изменения в распределение (размещение) в предусмотренных проектом площадей (жилых, летних площадей и автостоянок, площадей общего пользования, лестничной клетки) строящегося на указанном земельном участке жилого дома, и осуществлять передачу собственникам, а так же в связи с указанным недвижимым имуществом осуществлять межевание, объединение, продажу, обременение ипотекой. в связи с этим быть представителем доверителя в нотариальном бюро и/или Национальном Агентстве Публичного Реестра Министерства Юстиции Грузии, подписывать вместо доверителя протоколы собрания, решения, соглашения, согласия, заявления, договоры и другие необходимые документы, совершать все действия, разрешённые законом и связанные с выполнением данного поручения, доверенное лицо уполномочивается выполнять все необходимые действия , которые прямо не указаны в доверенности, но обязательны для выполнения установленного данной доверенностью поручения.

**Доверенность выдана сроком на один год, без права передоверия полномочий по данной доверенности третьим лицам.**

Доверенность может быть аннулирована по инициативе одной из сторон предварительным извещением, для чего необходимо аннулирование данной доверенности нотариально.

Доверенность составлена на грузинском и русском языках в трёх равносильных экземплярах, один из которых хранится в нотариальном архиве нотариуса Мания Анжелы, а остальные переданы доверителю

Подписывается ირაკლი გამყრელიძე

Свидетель ზაზა მუხიგულაშვილი

Уплачена нотариальная пошлина согласно ст. 31 постановления Правительства Грузии №507 от 29.12.2011 года «О пошлине за выполнение нотариальных действий и размера установленной стоимости для нотариальной палаты Грузии, правилах их оплаты и утверждении сроков за услуги» - пятьдесят лари, а также ндс 9,00 лари, согласно Налогового кодекса Грузии, также 2 лари за регистрацию в эл. реестре ст. 39 постановления Правительства Грузии №507 от 29.12.2011 года «О пошлине за выполнение нотариальных действий и размера установленной стоимости для нотариальной палаты Грузии, правилах их оплаты и утверждении сроков за услуги»

*НОТАРИУС* *\/МАНИЯ АНЖЕЛА/*

მეკერილია და დანომრილია
„3“ ფურცლად
ნოტარიუსი: